AM ACCOUNTABILITY MECHANISM

Office of the Special Project Facilitator

Office of the Compliance Review Panel

ADB

A. Complainants' Choice and Contact Information

1. Complainants' Choice

a. Please forward complaint to: *(Please choose only one and DO NOT leave this BLANK)*

☑ **Special Project Facilitator** *(Assists people who are directly and materially harmed by specific problems caused, or is likely to be caused, by ADB-assisted projects through informal, flexible, and consensus-based methods with the consent and participation of all parties concerned)*

☐ **Compliance Review Panel** *(Investigates alleged noncompliance by ADB with its operational policies and procedures in any ADB-assisted project in the course of the formulation, processing, or implementation of the project that directly, materially, and adversely affects, or is likely to affect, local people)*

b. Do you want your identities to be kept confidential?

☐ **Yes** ☑ **No**

2. Information on the Complainants *(The identities of complainants will be kept confidential unless the complainants agree to disclose their identities, but anonymous complaints will not be accepted.)*

Name and designation (Mr., Ms., Mrs.)	Signature	Position/Organization *(If any)*	Mailing Address	Telephone numbers (landline/mobile)	E-mail addresses
Ms. Nunu Bukhrashvili ნუნუ ბუხრაშვილი	ნ. ბუხრაშვილი	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]

Mr. Kakhaber Sutidze კახაბერ სუთიძე	სუთიძე				

3. Information on Authorized Representative ***(If any). (The identities of representatives who are not at the same time complainants will be disclosed to ensure transparency.)***

საჩივარი არ არის შედგენილი ოფიციალური წარმომადგენლის მეშვეობით.

Name of Authorized Representative, designation, mailing address, telephone numbers, and E-mail addresses.
(Please ask the representative to sign on top of his/her name.)

Please attach evidence of authority to represent the complainants, which will include the full name and signature of the complainants, and their mailing address, telephone numbers, and E-mail address, as applicable.

B. Project Information

Project name	თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის ფონიჭალის მონაკვეთის (მონაკვეთი 2-ის) პროექტი
Project location	საქართველო, ქალაქი თბილისი, რუსთავის გზატკეცილი

Brief description of the project	თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის ფონიჭალის მონაკვეთის (მე-2 მონაკვეთის) პროექტი ითვალისწინებს თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის მოდერნიზაცია-გაფართოებას ფონიჭალის მონაკვეთზე; კერძოდ, არსებული 2-ზოლიანი გზის გაფართოებას 4 ზოლამდე. პროექტის მიზანია თბილისსა და რუსთავს შორის არსებული დამაკავშირებელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. პროექტს აფინანსებს აზიის განვითარების ბანკი, ხოლო ახორციელებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში 2016 წლის 6 აპრილს გამოქვეყნდა; 2016 წლის 7 ივნისს დაგეგმილია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის ჩატარება. 2015 წლის 29 ოქტომბერს გამოქვეყნდა „თბილისი-რუსთავის ურბანული სატრანსპორტო კვანძი – სექცია 2, ნაწილი B: განსახლების სამოქმედო გეგმა". დოკუმენტი არ ყოფილა საჯარო განხილვის საგანი.

C. The Complaint

1. What direct and material harm has the ADB-assisted project caused to, or will likely cause to, the complainants?

მოგახსენებთ, რომ ჩემს საკუთრებაში არსებული, რუსთავის გზატკეცილის #4-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწა და მასზე განთავსებული სასტუმრო კომპლექსი მოექცა თბილისი-რუსთავის ურბანული სატრანსპორტო კვანძის პროექტის მეორე (ფონიჭალის) მონაკვეთის ზეგავლენის ქვეშ. აღნიშნულის გამო, 2014 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდმა (მგფ) შეისყიდა სასტუმრო კომპლექსის ნაწილი; კერძოდ, ის ნაწილი, სადაც განთავსებული იყო რესტორანი, ხოლო თავად სასტუმროს შენობა ჩვენს საკუთრებაში დარჩა. როგორც აღმოჩნდა, რესტორნის გარეშე სასტუმროს ფუნქციონირება შეუძლებელია, წამგებიანია და შედეგად, რესტორნის ნაწილის დაკარგვის შემდეგ, მე მუდმივად განვიცდი ეკონომიკურ ზარალს: თუ 2014 წელს (რესტორნის შესყიდვამდე) სასტუმრო კომპლექსის ბრუნვა შეადგენდა დაახლოებით 0.4 მილიონ ლარზე მეტს (2012 წ. – 466 900 ლარს, 2013 წ. – 419 602 ლარს, 2014 წ. – 427 042 ლარს (11 თვის მონაცემი), 2015 წელს საწარმოს ბრუნვა (11 თვის მონაცემით) 80%-ით, 99 ათას ლარამდე შემცირდა!

2014 წლის 18 ივლისს, მუნიციპალური განვითარების ფონდში შედგა საინფორმაციო შეხვედრა, რომელსაც, ჩვენთან ერთად, სატრანსპორტო კვანძის პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული 40-მდე მეწარმე და მგფ-ს წარმომადგენელი დავით ბაინდურაშვილი ესწრებოდა (მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებდა შეხვედრის ვიდეო-ჩაწერას). შეხვედრაზე ჩვენ დაგვირიგდა საინფორმაციო ბროშურები, სადაც განმარტებული იყო, რომ პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულთა სოციო-ეკონომიკური პირობები შენარჩუნებულ უნდა იქნეს ან გაუმჯობესდეს; ასევე დაზარალებულ ადამიანებს უნდა გაეწიოთ კონსულტაციები და მათი აზრი გათვალისწინებული უნდა იყოს პროექტირების ეტაპზე და პროექტის განხორციელებისას. ამ შეხვედრაზე ჩვენ გამოვთქვით შეშფოთება იმის თაობაზე, რომ რესტორნის გარეშე, სასტუმრო - დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა ფუნქციონირებას და შესყიდვის შემთხვევაში, უნდა შესყიდულიყო მთელი სასტუმრო კომპლექსი. მსგავსი პრობლემა, ჩვენს გარდა, კიდევ ოთხმა მეწარმემ დააფიქსირა. საპასუხოდ, დავით ბაინდურაშვილმა დაგვამშვიდა და გვიპასუხა, რომ ჩვენი საკითხი განსაკუთრებულად განიხილებოდა. სამწუხაროდ, როგორც აღმოჩნდა, ჩვენს მიერ დაფიქსირებული პრობლემა, არ იქნა სათანადოდ შეფასებული და შესაბამისად, გადაწყვეტილი.

2014 წლის ბოლოს, დაჩქარებულად, გადაგვიხადეს რესტორნის საკომპენსაციო თანხა, ისე რომ სასტუმროზე მოლაპარაკება არც კი გამართულა. მე, თავიდან, არ ვიყავი თანახმა, მიმეღო კომპენსაცია მხოლოდ რესტორნის ნაწილზე, მაგრამ გამაფრთხილეს, რომ თუ დროულად არ დავთანხმებოდი შემოთავაზებულ კომპენსაციას, ჩემთვის განკუთვნილ თანხას სხვა მიიღებდა, ჩემი საკითხი კი, განუსაზღვრელი ვადით გადაიდებოდა. ამდენად, მე დავთანხმდი შემოთავაზებულ კომპენსაციას.

ამასთან, მოლაპარაკებების დროს მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები გვპირდებოდნენ, რომ მათ მიერ რესტორნის შესყიდვის შემდეგაც, რესტორნის შენობის დანგრევამდე, ჩვენ შევძლებდით მის გამოყენებას. თუმცა, არც ეს დაპირება შესრულებულა და კომპენსაციის მიღების დღიდან ჩვენ აღარ გვაქვს რესტორნით სარგებლობის უფლება.

ყველა შეხვედრაზე, ჩვენ, მეწარმეებს გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენი ბიზნესი უფრო მომგებიანი და წარმატებული გახდებოდა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქონების დანაწევრების გამო, მე მუდმივად განვიცდი ეკონომიკურ ზარალს. ქონების/ბიზნესის ნაწილის გაყიდვისა და კომპენსაციის მიღების შემდეგ პრობლემები შეგვექმნა საშემოსავლო გადასახადისა და დღგ-ს გადახდისას. მგფ არ ფარავდა საშემოსავლო გადასახადს იმ მოტივით, რომ ჩვენ ფონდში შეტანილი გვქონდა განცხადება სასტუმრო კომპლექსის დარჩენილ ნაწილზე კომპენსაციის მიღების მოთხოვნით. ჩვენ გვითხრეს, რომ საშემოსავლო გადასახადი დაიფარებოდა იმ შემთხვევაში, თუ განცხადებას უკან გავიტანდით. გამოუვალი მდგომარეობის გამო, ჩვენი განცხადება გავიტანეთ.

კომპენსაციის მიღების შემდეგ, საკომპენსაციო თანხიდან ჩვენ მოგვიწია საკმაოდ მაღალი დღგ-ს - 130 ათასი ლარის - გადახდა. დარჩენილი ქონების სრულფასოვნად ფუნქციონირების შემთხვევაში, ეს თანხა შესაძლოა არ დაგვწოლოდა მძიმე ტვირთად, მაგრამ როგორც აღვნიშნე, სასტუმრო დამოუკიდებლად, რესტორნის გარეშე, წამგებიანი აღმოჩნდა. სასტუმრო ვეღარ ინახავს თავის თავს და კოტრდება. ყველა ზემოაღწერილ პრობლემას ემატება ისიც, რომ სასტუმრო კომპლექსი დატვირთული იყო იპოთეკით „საქართველოს ბანკში"; რესტორნის დაკარგვის შემდეგ, იპოთეკით დატვირთულია მხოლოდ სასტუმრო. იმდენად, რამდენადაც სასტუმრო ვერ ფუნქციონირებს სრულფასოვნად, გვიჭირს საიპოთეკო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის დაფარვაც.

2. Have the complainants made prior good faith efforts to solve the problem(s) and issue(s) with the ADB operations department concerned?

☑ **Yes If YES, please provide the following: when, how, by whom, and with whom the good faith efforts were made.**

2016 წლის 18 იანვარს საჩივრით მივმართეთ აზიის განვითარების ბანკის მუდმივი წარმომადგენლობის განსახლების სპეციალისტს ბატონ მედგარ ჭელიძეს (იხ. დანართი #1).

Please describe any response the complainants may have received from or any actions taken by ADB

1. ჩემი 2016 წლის 18 იანვრის საჩივარზე, აზიის განვითარების ბანკის საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორისაგან იეშიმ ელჰან კაილარისაგან პასუხად მივიღე, რომ ჩვენი საჩივარი მიიღეს და მუნიციპალური განვითარების ფონდთან აღნიშნული საკითხის განხილვის შემდეგ, უფრო დეტალურად მოგვიანებით მიპასუხებდნენ (იხ. 2016 წლის 27 იანვრის წერილი - დანართი # 2).

2. ჩემი 2016 წლის 18 იანვრის საჩივარზე, ასევე მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილისაგან დავით ტაბიძესაგან მივიღე პასუხი (2016 წლის 18 მარტის წერილი - დანართი#3), სადაც ნათქვამია, რომ საჩივრების განმხილველმა კომისიამ საჩივარი განიხილა და ჩვენი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

3. ჩემი 2016 წლის 18 იანვრის საჩივარზევე, აზიის განვითარების ბანკის ურბანული განვითარების მთავარი ეკონომისტის და პასუხისმგებელი თანამდებობის პირის იონგ იესაგან (Yong Ye) მივიღე პასუხი (2016 წლის 17 მარტის წერილი - დანართი #4), სადაც მიმითითეს, რომ თითქოს მე დამრჩა ახალი რესტორნის აშენების შესაძლებლობა სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიაზე და ეს შესაძლებლობა არ გამოვიყენე.

მსურს აქვე აღვნიშნო, რომ მას შემდეგ, რომ რაც მგფ-მ იყიდა ჩემს საკუთრებაში არსებული რესტორანი და მიმდებარე ტერიტორია, საკუთრებაში დამრჩა მხოლოდ სასტუმრო და ვიწრო სამანქანე გზა. სასტუმროს გარეთ დარჩენილი ტერიტორია იმდენად მცირეა, რომ მასზე რაიმე შენობის, მითუმეტეს, ისეთივე რესტორნის მშენებლობა, როგორსაც მანამდე ვფლობდი, ყოვლად შეუძლებელია.

☐ **No**

3. **Have the complainants contacted the Office of the Special Project Facilitator or the Compliance Review Panel about their concerns?**

☐ **Yes, Office of the Special Project Facilitator** ☐ **Yes, Compliance Review Panel**

☑ **No**

If YES, please provide information on when the contact was made, how, by whom and with whom.

Please describe any response the complainants may have received or actions taken by the Office of the Special Project Facilitator or the Compliance Review Panel.

4. Please include any other information that you consider relevant.

D. Optional Information *(The following information is not mandatory, but would be helpful in processing your complaint.)*

1. Have the complainants sent their complaint to the grievance redress mechanism of the project concerned?

☑ Yes If YES, please provide the following: when, how, and with whom the contact was made.

1. ზემოაღწერილი საკითხის თაობაზე, 2015 წლის 13 თებერვალს, განცხადებით მივმართე მგფ-ს აღმასრულებელ დირექტორს ბატონ გიორგი ამაშუკელს (იხ. დანართი # 5).

2. 2015 წლის 11 დეკემბერს საჩივრით მივმართე მგფ-ს დირექტორს ბატონ ჯუანშერ ბურჭულაძეს და ვითხოვე ჩემთვის ამ დრომდე მოყენებული და მომავალი ზიანის სრულად კომპენსირების საკითხის განხილვა (იხ. დანართი #6).

Please describe any response the complainants may have received or any actions taken.

1. ჩემს 2015 წლის 13 თებერვალის განცხადებაზე, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილისაგან ტარიელ გუგავასაგან პასუხად მივიღე, რომ განცხადება განსახილველად საჩივრების განხილვის კომისიას გადაეგზავნა (2015 წლის 23 თებერვლის წერილი - იხ. დანართი #7). ამის შემდეგ არც მისგან და არც კომისიისგან არანაირი პასუხი არ მიმიღია.

2. ჩემს 2015 წლის 11 დეკემბერის საჩივარზე, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორის ჯუანშერ ბურჭულაძისაგან მივიღე პასუხი (2015 წლის 25 დეკემბრის წერილი - იხ. დანართი #8), რომელიც არ სცემს პასუხს საჩივარში წამოჭრილ არცერთ საკითხს და უბრალოდ მითითებს ჩვენს შორის დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე.

☐ **No** **If NO, why not?**
2. What is the desired outcome or remedy that complainants believe ADB should provide through the ADB's Accountability Mechanism? ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, მოგმართავთ და გთხოვთ, განიხილოთ ჩემს საჩივარში აღწერილი პრობლემა და თბილისი-რუსთავის ურბანული სატრანსპორტო კვანძის პროექტის განხორციელების გამო ჩემთვის ამ დრომდე მოყენებული და მომავალი ზიანის სრულად კომპენსირების საკითხი.
3. Why do complainants believe that the alleged direct and material harm is the result of ADB's failure to follow its operational policies and procedures? ***(This applies if the complainants choose the compliance review function.)***
4. Please describe the operational policies and procedures that have not been complied with by ADB in the course of formulating, processing, or implementing the ADB-assisted project. ***(This applies if the complainants choose the compliance review function.)***
5. Do the complainants have any other relevant matters or facts (with supporting documents) that the complainants would like to share with the Accountability Mechanism?

Name of the person who completed this form: Irina Svanidze, Green Alternative / ირინა სვანიძე, მწვანე ალტერნატივა

Green Alternative provides assistance to the complainants, but the organization is not representing complainants formally. Please, see attached letter (enclosure #9) of the complainants that authorizes Green Alternative to relay information/decisions between the complainants, on one hand, and the Complaint Receiving Officer (CRO) and/or Special Project Facilitator (SPF), on the other hand, regarding this complaint and subsequent correspondence/submissions relative thereto.

მწვანე ალტერნატივა დახმარებას უწევს მომჩივანებს, მაგრამ ფორმალურად ის არ წარმოადგენს მათ. გთხოვთ, იხილოთ თანდართული მომჩივანების წერილი (დანართი #9), სადაც ისინი მწვანე ალტერნატივას ანიჭებენ უფლებამოსილებას, მოახდინოს ამ საჩივართან

დაკავშირებული ინფორმაციის/გადაწყვეტილებების და შემდგომი კორესპონდენციის/მასალების გადაცემა, ერთი მხრივ, მომჩივანებსა და მეორე მხრივ, საჩივრების მიმღებ ოფიცერსა ან/და პროექტის სპეციალურ ფასილიტატორს შორის.

Signature: ი. სვანიძე

Date: 13 მაისი, 2016 წ.